

ქ. გურჯაანი

ერთის მხრივ, გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი (მისამართი: ქ. გურჯაანი, თამარ მეფის ქ. N16 № ს/კ 227767841) წარმოდგენილი მისი დირექტორი დავით მურაკაშვილის (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) მეორეს მხრივ ი/მ „მანანა ხარბანიდი“ (მისამართი: ქ. გურჯაანი, ს/კ 13001014342) სახით, (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1. „ხელშეკრულება“ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ 3267,49 ლარი საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

- 2.1. გურჯაანის მუნიციპალური კ/ცენტრის შენობის 27-28 ივნისის ძლიერი წვიმის და ქარიშხლის შედეგად დაზიანებული მე-3 სართულის სარემონტო სამუშაოები.
- 2.2. კლასიფიკატორის კატეგორიის/ქვეკატეგორიის კოდი: 45400000;
- 2.3. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 2781,41 (ორიათას შვიდას ოთხმოცდაერთი და 41) ლარს;
- 3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს გარდა დ.დ.გ-ისა.

### 4. სამუშაოს მიწოდების ადგილი და ვადა

- 4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუკუხანი.
- 4.2. სამუშაოების მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 20 ივლისამდე.

### 5. მხარეთა ვალდებულებები

#### 5.1 შემსყიდველი ვალდებულია:

- 5.1.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 5.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
- 5.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;
- 5.1.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

#### 5.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

- 5.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
- 5.2.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით;
- 5.2.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;
- 5.2.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

#### 5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

- 5.3.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 5.3.2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;
- 5.3.5. სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;





**11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით დადგინდებული წესით.

11.2. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი გადააცილებს სამუშაოს მიწოდების ვადას (4,2, პუნქტი), მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

11.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

**12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი**

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

12.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით;

12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.5. ხელშეკრულების 12.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**13. დაუძლეველი ძალა**

13.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან;

13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

**14. დავების გადაჭრის წესი**

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 12 ივლისს და მოქმედებს:

15.1.1. ხელშეკრულების ყველა მუხლისათვის გარდა მე-6 მუხლისა 2017 წლის 1 ოქტომბრამდე.

15.1.2. ხელშეკრულების მე-6 მუხლისთვის 2019 წლის 20 ივლისამდე.


**16. მხარეთა რეკვიზიტები**

**შემსყიდველი:**

გურჯაანის მუნიციპალური კ/ცენტრი ს/კ227767741 ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ/კTRESGE22,

გურჯაანის მუნიციპალური კ/ცენტრის დირექტორი:

/დავით მურაკაშვილი/



**მიმწოდებელი:**

ო/მ „მანანა ხარბანიდი“ ს/კ13001014342 ს.ს. „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22, ანგარიშის №GE29LB0711159005428000

\_\_ო.მეწარმე:

*Handwritten signature of O. Mestrem*

/მანანა ხარბანიდი/